„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის—ადგილის მიხედვით.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი, სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი.
წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

## ქართული თეატრი

დღეს, თებერვლის 23-ს.

მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა, ქ. ე. ანდრონიკაშვილისა და ვ. ს. ალექსეევი-მესხიევი.

გამართავენ

მუზიკალურსა და ლიტერატურულს

**ს ა ღ ა მ ო ს**

ოთხს განყოფილებად.

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ნინო ორბელიანისა, მ. ნ. ლერინისა, კას. აბაშიძე, რატიანი, დიუმა და თავადნი: სიდამონოვი-ერისთავი, გაჩნაძე და ჩოლაყაშვილი.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, თებერვლის 23-ს

მთელის ევროპის ყურადღება ეხლა მიქცეულია ავღანისტანზედ; იმ ბაასზედ, რომელიც ამ საგნის შესახებ ინგლისის პარლამენტშია ატეხილი და კიდევ იმ წერილებზედ, რომელნიც პეტერბურგის ოფიციოზურ გაზეთებში იბეჭდებიან. ვილას ახსოვს კონგოს კონფერენცია, რომელმაც აფრიკის დასავლეთისკენ მთელი ახალი სახელმწიფო დაჰბადა, მისცა უფლება არსებობისა და მასუკან შეუმჩნევლად დაიხურა წარსულის კვირის განმავლობაში; ვინლა ლაპარაკობს ეხლა ინგლისის ჯარის წინა ან უკან დაწევაზე სუდანის უდაბნოებში; ვინლა უკმევს ქება-დიდების გუნდრუკს საფრანგეთის ფლოტს ჩინელების ჯავშნიან ხომალდების დალუპვისათვის?! ეხლა ევროპის გმირებად გადაიქცნენ სერ პეტერ ლემსდენი, უფროსი ინგლისელებისაგან ავღანისტანში გაგზავნილი კომისიისა, რუსის გეოგრაფი ლესარი, რომელიც ამ ჟამად რუსეთის მთავრობის მინდობილობით ლონდონში იმყოფება და ველური თურქმენები, რომელნიც მერვისა და ჰერათის შუა მომთაბარობენ. არც გასაკვირველია ესეთი დასაკუთრება ავღანისტანის მიერ მთელის ევროპის ყურადღებისა: როდესაც სახელ-განთქმულნი მოკრივენი მოედანზედ გამოსვლას აპირებენ, მაშინ წვრილმანებს უბრალოდ ბაკი-ბუკს ყურს აღარავინ უგდებს.

***

მერვისა და ავღანისტანის განაპირა ქალაქის ჰერათის შორის ორი მდინარე მიმდინარეობს. ერთს ჰქვიან მურღაბი, მეორეს ჰერირუდი. ორნივ მიდიან ქვიშიან უდაბნოში და იქაურ თურქმენებს მხოლოდ მათს ნაპირებზედა აქვთ თავიანთი ბინები დამართული. ეს ორივ ძარღვი ცხოვრებისა თურქმენების ხრიოკს მინდვრებზედ გამომდინარებენ ავღანისტანიდამ და შეადგენენ ბუნებრივს გზას ქარავნების სასიარულოდ. ამ მდინარეების არემარეში, როგორცა ვთქვით, მომთაბარობენ ნახევრად ველური თურქმენები; თურქმენებს ჯერ გადაწყვეტით არავისი უფლება არ უცვნიათ თავიანთ თავზე, თუმცა, რა თქმა უნდა, ნაგრძნობი კი ექნებათ, რომ ჩრდილოეთით საზარელი ძალა მიიწევს, რომელიც, ადრე თუ გვიან, სრულის თვისის უფლების ქვეშ მოაქცევს მათ. ეს ნახევრად ველური ხალხი უმეტესად ცარცვა-გლეჯითა სცხოვრობს და წარმოადგენს უკურნებელს სენს მეზობლად მყოფ ხალხებისათვის; მეზობლად მყოფნი კი ზოგნი „თავიანთ ნებითვე“ მიეკედლენ რუსეთს და მისი ქვეშევრდომობა აღიარეს. მთავრობის სიტყვით, ქვეშევრდომობაში მიღებულს ხალხს მფარველობა ეჭირვება, მეტადრე იმ თემთა წინააღმდეგ, რომელნიც დამოუკიდებელნი არიან, გადადიან სამზღვარს და უწყალოდ აწუხებენ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულებს. ამ უსიამოვნობის თავიდამ ასაცილებლად საჭიროა მტკიცე სამზღვრის დამყარება, რადგან იგი ამ ჟამად უდაბნოებშია გაყვანილი და მისი გამორკვევა მეტის-მეტად საძნელოა. რუსეთის კომისარს, ლესარს, რომელიც ამ ჟამად ლონდონშია გაგზავნილი, განსაკუთრებითი მინდობილობა აქვს, დაითანხმოს ინგლისი და სამზღვრები იმ გვარად გაყვანილ იქმნას, რომ რუსის პოსტებმა სამხრეთისკენ დაიწიონ და შეალაგმონ თურქმენების თავ-გასულობა. ვიდრე ლესარი ლონდონში ინგლისის თანხმობას გამოიწვევდა ამ გვარად სამზღვრების შესწორებაზედ, რუსის ყაზახებს კარგა სამხრეთისკენ წაუწევიათ და მდინარე მურღაბზედ ავღანელებს ზოგიერთა პოსტებს შესცილებიან. ეხლა რუსეთის სამფლობელო მხოლოდ 60—100 ვერსზეა ჰერათიდამ, ესე იგი იმ მანძილზე, რომლის გავლაც ჯარს სამს-ოთხ დღეში არ გაუჭირდება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჰერათი ერთი უმთავრესი ქალაქია ავღანისტანისა და აქედამ სპარსეთისაკენ მიმავალი გზა გადადის სწორედ ყაზახებისაგან დაჭერილ ადგილებზე; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჰერათის მფლობელს ინდოეთისაკენ თითქმის გზა გახსნილი ექნება,—ადვილი მისახვედრია, თუ რა აღელვებს ინგლისის პარლამენტს და რად აიწიეს მაღლა თავი ინგლისის კონსერვატორებმა.

***

არის ხოლმე იმისთანა გამარჯვება, რომელიც კაცს დამარცხებად უნდა ჩაეთვალოს და ამისთანა გამარჯვება მოიხვეჭა სწორედ ახლანდელმა ინგლისის სამინისტრომ წარსულს კვირას. ქვემო პალატაში ნორსკოტმა წინადადება შეიტანა, რომ სამინისტროს გარეშე პოლიტიკაში უნდობლობა გამოეცხადოსო და ეს წინადადება უარყოფილ იქმნა მხოლოდ 302 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 288-ისა. იმ გვარივე წინადადება, შე-

---

«დროების» ფელეტონი, თებერ. 23-ს

## ისმის ტირილი დარბაზში...

ისმის ტირილი დარბაზში,
ოჯახს არ მოსდის ძილია:
დედასა, შავით მოსილსა,
უძრავად უძევს შვილია.

—

წინ უდგას კუბო მორთული,
შიგ უძევს ბიჭი ილია,
თითქოს დაღალულს შრომისგან
მოსვლოდეს ტკბილი ძილია.

—

სტირის, წვერს იბდღვნის საწყალი
მოხუცი მამა ნინია:
მოუკვდა ქარ-უმადითი,
მოუკვდა ვაჟი შვილია!

—

თმა მხრებზედ გადასწეწია
საბრალო გოგო ანასა,
მწუხარედ, გულის საკლავად,
მოსთქვამს იძახის ამასა:

—

«ადექი, ილო, ნუ გძინავს,
ნულარ აწუხებ მამასა,
გული სწუხს, სული შფოთდება,
ვაი ჰკირს ამისთანასა!

—

ადექი, ძმაო, ადექი,
ადექი, რა დროს ძილია,
ბიბინებს მთა და მინდორი
უქრის ნიავი გრილია,

—

რიჟრაჟი არის, თენდება,
ცასა შესცინა მიწამა,
დაპურდა მინდვრის ბალახი,
უნდა გათიბოს ბიძამა;

—

ბულბულმაც აგერ ჩვენს ბაღში
საამოდ მორთო გალობა,
ბუნება ტკბილად ილვიძებს,
ღმერთმა მოილო წყალობა.

—

მინდვრისა თავთავ ბალახის
დამდგარა კაი სუნია,
დილისა ცვარი მცენართა
ვერცხლებრივ გადაჰფენია!

—

ადექი, ძიას თან გაჰყევით,
ადექი, გეყო ძილია,
უთუოდ მარწყვიც დამწიფდა,
ის ტკბილი მინდვრის ხილია.

—

ეს ჩემი თხოვნა არ გესმის,
დაგიხუჭია თვალები,
მშვიდობით ძმაო, მშვიდობით,
შენს სახელს ვენაცვალები!

ქ. გორი. ი. დ.

## საზარელი სამკვიდრო

ფილოსოფიური მოთხრობა

ბ. პალფრესი

ფრანცუზულიდამ*

რვა წლის დაუღალავი შრომის შემდეგ ერთს სამეცნიერო დაწესებულებაში იშოვა შაკმა კათედრა. ორიოდ თვის შემდეგ იმის სახელი გაითქვა კიდეც; მალე მოიპოვა მრავალნი მისის აზრით გატაცებულნი მოწაფენი და გულ-მოდგინე მსმენელნი. წლის დამლევს გამოსცა წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის ნაღვაწს და ამან ხომ სრულიად სახელოვანი გახადა. ამ დროს პარიჟში გაიხსნა პროფესორის ადგილი და ყველამ მოიწადინეს, რომ პორტელი იქ დანიშნულიყო. დღითი-დღე შაკ პორტეილის დიდებას ემატებოდა, ისე, რომ მეტოქენიც კი იმის სახელის ხსენებაზედ თავს-იხრიდენ.

ამ დროსვე შეირთო ცოლი. იგი შეხვდა ერთ მშვენიერ ქალს, რომელიც ალტაცებით შეიყვარა. ალისა მორელი იყო უმზითვო, მაგრამ ეს გარემოება შაკს არ დააბრკოლებდა, რადგან ის იმისთანა ჰკუის კაცი არ იყო, რომ ფულის გულისთვის ქალისთვის თავი დაენებებინა, მით უფრო, რომ მამამ სამყოფი სარჩო დაუტოვა.

სრულ ბედნიერადა რაცხდა იგი

*) იხილე „დროება“ № 41.

ტანილი ზემო პალატაში ლორდის სალისბიურისაგან, მიიღო ზემო-პალატამ 184 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 88-ისა. თუმცა ინგლისის კონსტიტუციით მხოლოდ ქვემო პალატაში დამარცხება უნდა ჩაითვალოს ნამდვილ დამარცხებად სამინისტროსათვის, მაგრამ გლადსტონის კაბინეთმა ბრძოლის ველი მხოლოდ 14 ხმის წყალობით დაინარჩუნა და ამ 14-ს სამაგიეროდ ზემო პალატაში წინააღმდეგი 101 ხმის უმეტესობა გამოუჩნდა. ასეთი შედეგი ხმების მოგროვებისა იმდენად საგრძნობელი იყო სამინისტროსთვის, რომ რჩევაც-კი შეადგენს, გადავდგეთ, თუ არა ჩვენის ადგილებიდამაო; მაგრამ უფლების სიტკბოებას ინგლისის მინისტრები, როგორც ეტყობა, სამინისტრო კრესლოებზე ჰყავს დაპყრობილი და ალბად თავიანთ პროგრამის შეცვლას არჩევენ ადგილების დატოვებას. მაგრამ მთელი ინგლისი ჰხედავს, რომ თუ ავღანისტანში საქმე გაძნელდა, 75 წლის მშვიდობის მოყვარე გლადსტონი ვერ დარჩება თავის ადგილზე, რადგან მან თავის პოლიტიკური ტორტმანით უიმისოდაც დიდი ვნება მოუტანა ინგლისს სუდანის ბრძოლის ველზედ.

***

ამ ფაქტებთან ერთად ღირსია ყურადღების მიქცევისა ორი საპოლიტიკო ამბავი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ გერმანიამ და ინგლისმა დროებით მაინც მოსპეს ერთმანეთ შორის უთანხმოება კოლონიების შესახებ. ინგლისის გაზეთი „ტაიმსი“ თურმე ამბობს, რომ უკულტურო ქვეყნებში იმდენი ადგილია, რომ ორნივ სახემწიფონი თავისუფლად მოეთავსებიანო და ბისმარკი ამის პასუხად ეუბნება: გერმანია ინგლისის მეგობრობას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ეგვიპტის ბედის-წერასაო. შესანიშნავია აგრეთვე ის, რომ მარტის გასულს ავღანისტანის ემირი აბდურახმან-ხანი აპირობს თურმე ინდოეთისკენ გამგზავრებას და წინ მიეგებება მას ინდოეთის ვიცე-იმპერატორი „სამანევროდ“ გამზადებული ოცი ათასი ჯარით..

## შინაური ქრონიკა

— ჩვენ გვითხრეს, რომ გუშინ თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოში ბაქოს რკინის გზის რომელიღაც სტანციის უფროსს რევოლვერით თავი მოუკლავს. გვიკვირს, საავადმყოფოს მმართველობა რად აძლევს ავადმყოფებს იარაღის შეტანის ნებას.

— სოხუმიდან გვწერენ: ეს წელიწადი ისე გადის თოვლი და წვიმა არ გვინახავს. აქ ვაჩნდენ შემდეგი ავადმყოფობები: წითელა, ხველა, ქუნთრუშა და სურდო. ყველა კარგად ჰხდილობს, მხოლოდ მოკვდა ერთი ძუძუს ყმაწვილი და ერთიც დედაკაცი.

აქ ვარდებმა კოკორი გამოიღეს, მინდვრები ამწვანდენ.

— იქიდანვე გვწერენ: ჭლექით ავადმყოფნი მადლიერნი არიან აქაური ჰავისა, რომელიც ძალიან მოხდენია მათ. მარტის გასულს შინ წასვლას ემზადებიან, რაკი თავს მორჩენა შეატყეს. ჩვენს ქალაქში ამ ჟამად ოთხი აბანო გააკეთეს. ეს აბანოები ეკუთვნიან: ბ. მირონოვს, ფილიპოვს, პატლიარენკოს და სამთო-სკოლას. ვინც ისურვებს ავადმყოფთაგანი, აბანოებში ზღვის წყალს ახმარებენ.

დოქტორმა პავლიოვმა განიზრახა რომ აქ გააკეთოს საავადმყოფო სახლები: აშენებაც და დაიწყო სახლის საძირკველი უკვე ამოიყვანა მაღალს, მშვენიერ ადგილზედ, რომელიც დასჩერებია მთელს სოხუმს.

— თებერვლის ცხრამეტს, საღამოს ათს საათზე, ორი სომეხი შეჭყრია ოთხს უცნობს კაცს სუფ-კარაპეტის აღმართზე, თბილისში. სომხებს ჯერ შეხედვაც ვერ მოუსწრიათ, რომ იმ ოთხ კაცს თვალში ბურნუთი შეუყარათ. უბედური სომხები თურმე დაბნდენ, უძრავად გაჩერდენ ერთს ადგილზე და სანამ თვალს გაახელდენ, ბოროტ-მოქმედებმა სულ ერთიანად გაცარცვეს. (ნოვ. ობოზ.).

## კახეთის ავი და კარგი.

თელავი. თუმცა ცოტა დამიგვიანდა, მაგრამ მაინც მოგილოცავ ყველიერს, მკითხველო, და მილოცვისათანავე მსურს მოგითხრო ამ პატარა წერილში, თუ როგორ ატარებენ დროებას ყველიერში თელავის მოქალაქენი. ამ დღეებს, რასაკვირველია, სიხარულით მოელის ყველა ხალხი (რომელსაც-კი ეს დღეები მიღებული აქვს, როგორც დღესასწაულები), რადგანაც ამ დროს ყველანი მოსვენებას ეძლევიან: მოსწავლე ქალ-ვაჟნი ზოგნი შინისკენ მიდიან, ზოგნიც თუმცა ისევ ისე სასწავლებელში რჩებიან, მაგრამ მაინც კიდევ თავისუფლები არიან. მოხელეებიც სიხარულით მიდიან შინისკენ და ცოტა ხნობით მაინც დავიწყებას აძლევენ თავის ერთ-ფეროვან მოვალეობას და საქმეს. ამ გვარივე სიხარულით ეგებებიან ყველიერის დღესასწაულს სხვა სამსახურის და პროფესიის კაცნი და დედა-კაცნიც. დაბალი ხალხი, გლეხობა, ატარებს დროებას, როგორც შეჰფერის იმის ეკონომიურს მდგომარეობას, ზნეობით და გონებით განვითარებას, მის ჩვეულებას და სხვა-და-სხვა ცხოვრების პირობებს. აქვს ამ დროს ჩვენ გლეხ-კაცს ღვინო (ულვინოთ ხომ ჩვენი კაცი გულიანად დროებას ვერგაატარებს), ან ფული, — და ატარებს ესე თუ ისე დროებას; თუნდა ღვინო და პური არა ჰქონდეს, მაინც ცოტა ხნობით ივიწყებს ის თავის მწუხარე ცხოვრებას და ყმლევა საზოგადო ლხინს.

ეს სამი დღეა, რაც თელავის ხალხი კახურის ღვინით გაქეიფებული სადილს შემდეგ მოძრაობაში მოდის ხოლმე, ე. ი. დროებას ატარებს. გარეთ რომ გამოხვიდეთ, დიდ ქუჩაზედ, ხალხისაგან ტევა აღარ არის. ისეთი დიდი მოძრაობაა ყოველგან, რომ გულს იამება, სანამ ამ მოძრაობის საგანს გაიგებდე, მაგრამ როდესაც გაიგებ — შეიტყობ, რომ სულ უბრალო საქმისათვის აზვირთებულა ეს ხალხი, უნებურად იტყვი: ნეტა საქვეყნო საქმისათვისაც ასე აზვირთდებოდესო! თელაველების მოძრაობა უფრო ემგზავსება ნოვგოროდის იმ ხალხის ყრილობას, როდესაც ეს ხალხი გაიყოფებოდა ხოლმე ორ ნაწილად და ჰქონდათ ვოლხოვის ხიდზედ ცხვირ-პირის მტვრევა მოთქმით; „Шило!“ „Дай ему въ рыло!“ — რასაკვირველია, ძალიან შორს არის თელავის ცხვირ-პირის მტვრევა ნოვგოროდის მუშტი-კრივთან; მაგრამ, მაინც, არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ყურადღება ამისთანა მოვლენას ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებაში. აქაური მოქალაქეები გაიყოფებიან ხოლმე ორ სამტრო რაზმად: დასავლეთიდამ დგას მთელი გროვა ძველ-გალავნელებისა, და აღმოსავლეთით - თელაველებისა. ამ ორ ნაწილს შუა ჩაუდგებიან წინამძღოლი თავადის შვილები (მეტი რა გააკეთონ?) და უფრო და უფრო აქეზებენ ცემა-ტყეპაზე, უიმისოთაც ღვინით დამთვრალს და ჭკუა-გონება დაკარგულს მუშა ხალხს. კრივი იწყება პატარა ყმაწვილებით, რომელთა შორის მოსწავლეებიც ურევიან და მოისმის ერთი ღრიანცელი და ბაგა-ბუგის ხმა, რომლის შედეგი მხოლოდ გვერდების და ცხვირ-პირის მტვრევა არის. პატარა ბავშვების კრივის შემდეგ დაერევიან გაშფოთებულნი ... [continues in next issue]

## III

...თავის თავს და როდესაც მოინდომებდა თავის ფილოსოფიური სისტემის გადმოღებას თავის ცხოვრებაზედ, მოიგონებდა თავის დედ-მამის ყოფა-ცხოვრებას, სვინიდისიანად, დაწვრილებით დაიწყებდა გადათვალიერებას და თამამად დაადგებოდა ხოლმე იმ აზრს, რომ შთამომავლობითვე არა ჰქონიათ ამათ მანკი და არც რაიმე ცუდი შინაგანი მიდრეკილება. შაკი, რომელიც არაფრად აგდებდა დედ-მამისაგან მიღებულ შეძლებას, დიდად ამაყობდა ამ ზნეობრივი სამკვიდროთი. ცოლიც ისეთი ტან-მრთელი და კაიზნისა ამოირჩია, რომ თუ შვილები მიეცემოდა, ისეთსავე სამკვიდროს დაუტოვებდა, როგორიც თითონ მიიღო.

მაგრამ ამის ფილოსოფიურ სწავლას ბევრი მგმობელნიც ჰყვანდა; იმათ შორის სხვებზე უფრო ცხარე მოწინააღმდეგე იყო ექიმი ვარენ, ამის მამისა და პაპისაც კი ძველი მეგობარი. ექიმი ვარენ იყო მოსისხლე მტერი იმის ახალი სისტემისა; მედიცინაში იგი იყო წინააღმდეგი განსხვავებული მკურნალობისა და იმის აზრით მხოლოდ ერთ-გვარად შეიძლებოდა ავადმყოფების მორჩენა — ძველადვე შემოღებული წამლობით. ახალ სწავლას შთამომავლობითს მემკვიდრეობაზედ ისეთი ფიცხი მოწინააღმდეგე არავინ არა ჰყვანდა, როგორც ეს ჯიუტი, დიდიხნის გამოცდილი ექიმი, რომელიც არაფრად აგდებდა ახლად შემოღებულ სისტემას და ყველაფერს ამყარებდა მხოლოდ შემთხვევაზედ.

შაკ პორტეილს ძალიან აწუხებდა ხანგრძლივი წინააღმდეგი ბაასი მოხუც ექიმთან, რომელიც ამასთანავე ძალიან უყვარდა. უნდოდა თავის აზრი იმისთვისაც შეეთვისებინა, მაგრამ ატყობდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. დიდად ნანობდა, რომ მოხუცი ამის უკანასკნელ ლექციაზედ ვერ დაესწრო.

— იქ რომ ყოფილიყო, ჰფიქრობდა შაკ შინ დაბრუნების დროს, მგონი რომ გავიმარჯვებდი და იმასაც მოვიმხრობდი.

## III

ყოველ წლივ, ზაფხულობით, როდესაც ლექციების კითხვა შესწყდებოდა, შაკ გასწევდა თავის მამა-პაპეულ სახლში, სადაც ადრე დედის კალთის ქვეშ იზრდებოდა. იქ ნამდვილ ბედნიერად მიაჩნდა თავი; გვერდით მუდამ ალტაცებით მოსიყვარულე ცოლი ჰყვანდა, რომელიც დაუზარებლად შველოდა შრომაში; იგი გადაათვალიერებდა ხოლმე თავისგან წაკითხულ ლექციებს, ამზადებდა ცალკე გამოსაცემ წიგნად და, დაბრუნდებოდა თუ არა პარიჟში, მისცემდა დასაბეჭდად.

ამ წელს კლევინდელზედ უფრო თავისუფალი იყო, საქმეები არა ჰქონდა რა. თავისი დიდი თხზულება „სჯა პსიხოლოგიურ შთამომავლობით მემკვიდრეობაზედ“ სამი წელიწადიც იყო, რაც გამოსცა; უნდა მხოლოდ მეორე გამოცემისათვის დაემატებინა ზოგიერთი ახალი გამოკვლევა, ზამთარში, ლექციების კითხვის დროს მოყვანილი და შეეცვალა ცოტა რამ, რასაც აუცილებლად მოითხოვდა ახალი გამოცდილება.

შაკმაც ისარგებლა ამ თავისუფლობით, რომ გადაეთვალიერებინა თავისი წიგნები, წესზედ მოეყვანა საოჯახო ქაღალდები და ცოტა ხანს მაინც მისცემოდა მოგონებას, ამ ძველ მეგობარს ყოველი აზრიანი კაცისას.

კაბინეთში ედგა ერთი პატარა ძველებური საწერელი სტოლი, რომელიც იქაურ სხვა სადა მებელისაგან განსხვავებულად გაირჩეოდა; კოხტად გაკეთებული წითელი ხისაგან, სულ თითბრის ჩუქურთმებით იყო მორთული და უფრო ეკადრებოდა ლამაზი ქალის ოთახს, ვიდრე მეცნიერი კაცის კაბინეთს. შაკს განსაკუთრებით უყვარდა ეს საწერელი სტოლი, თავის საპირო და ძვირფას ქაღალდებს სულ შიგ ინახავდა, და ისე არ შეხედავდა, რომ არ გაეღიმა და თვალებზედ ცრემლი არ მორევოდა. ეს იმიტომ, რომ დედის ჩაანდერძევი იყო; რასაკვირველია, მას თავის დღეში არ მოიშო-

ზული და ღვინისაგან სისხლ-არეული ღიდრონებიც და თქვენ წინ იშლება სრული ჯოჯოხეთური, ერთმანეთის დაუზოგველობის სურათი. ,,არ მენახა, გამიკვირდა'' თვლავლების ცემა-ტყეპა. აქ ჰხედავთ ცხვირ-პირ ჩაჩეხილს, იქ მთლად სისხლში მოსვრილს, აქ გულ-შეღონებულს, იქ ცოცხალი ადამიანის თელვას და სხვას!!. მაგრამ ვინ დასდევს ამას—გადის ბაგა-ბუგის ხმა! ერთმანეთს ხომ სცემენ და სცემენ, ჯანი გავარდეს, მაგრამ ამასაც აღარ სჯერდებიან! ყეენობის დღეს, როდესაც კრივი ახლად იმართებოდა, ერთი კაცი კინაღამ არ გადმოაგდეს ცხენიდან, თუმცა თითონ ბოქაულიც იქ იდგა. ძლივ დაეხწია აგორებულ ხალხის გროვას საწყალი ცხენოსანი. ესე უხვდებიან, მასპინძლობენ და ისტუმრებენ თვლაველები ყველიერის დღესასწაულებს!.. ეს სურათი, თუმცა, შეიძლებოდა უფრო პოეტურად გამოხატულიყო, მაგრამ მე მგონია რაცა ვსთქვი, იქიდამაც ნათლად დაინახავდა მკითხველი საზარელს სურათს რომელიც აუცილებლად მოსდევს ამ ჩვეულებას. არიან ჩვენში იმისთანა განათლებულნი პირნი, რომელთაც მოსწონთ და აქეზებენ კიდეც იმისთანა ჩვეულებაზედ, როგორც ცხვირ-პირის მტვრევაა... საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ თავსაც მართლულობენ!.. მერე რითი? აი რითი: ისინი იძახიან თამამად—რა ვქნათ, ეს არის ჩვენი ხალხის ჩვეულება, ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების შედეგიო...

ჩვენ მხოლოდ ერთს წინადადებას ვაძლევთ ,,მუშტის'' მომხრეებს, თუმცა ამ წინადადებას აზიური ხასიათი აქვს. ჯერ წაბრძანდენ კრივში, თვით საქმით მიიღონ მონაწილეობა, და როცა იმათაც გვერდებს გამოულაყებენ, ცხვირ-პირსა და თავ-პირს დაალეწენ, მაშინ მობრძანდენ და ჩვენც დანარჩენ საბუთებს წარვუდგენთ.

განა ცხვირ-პირის ლეწვის გარეშე ჩვენს ხალხს სხვა გასართობი თამაშობები არა აქვს? როგორ არა, მაგრამ არ ვიცი ამ ცხვირ-პირის ლეწვას უფროსად მისდევენ.

საგირთელი.

## ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

თებერვლის 22-ს.

**პეტერბურგი.** ,,ნოვოე ვრემია'' გვაცნობებს, რომ კორეის დედა ქალაქს სეულში ფუძნდება რუსეთის დიპლომატიური მისია და ამის განყოფილება ჩემულპოში—კორეის უმთავრეს ნავთ-სადგურში.

**მოსკოვი.** შაქრის ფირმა ,,ვ. გენერი'' ვალებს აღარა ხდილობს. პასივი 2,340,000 მანათია. ამ საქმის შესახებ დაწესდა ადმინისტრაცია.

**ლონდონი.** გერბერტ ბისმარკის აქ მოსვლის გამო გრენვილთან მოსალაპარაკებლად გაზეთი ,,ტაიმსი'' იმედს აცხადებს, რომ გერმანიასთან კვალად განახლდება მეგობრული დამოკიდებულებაო.

**ბერლინი.** ,,ჩრდილო-გერმანიის საზოგადო გაზეთი'' ამბობს, რომ ბისმარკისაგან ორშაბათს წარმოთქმულს სიტყვას სახეში სრულიად არა ჰქონდა გლადსტონის გადაყენება და მხოლოდ ის უნდა დაემტკიცებინა, რომ ბისმარკს თავის დღეში არ ურჩევია ინგლისისათვის ეგვიპტის დასაკუთრება.

**ლონდონი.** გუშინ გლადსტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ მავნებლად მიაჩნია სახელმწიფო ინტერესებისათვის პასუხის მიცემა სამინისტროს პოლიტიკის შესახებ ავგანისტანში და შესახებ იმ ამბებისა, რომელნიც შეიძლება იქ მოხდენ; სამინისტროს პოლიტიკას, რაც უნდა იყოს, მაინც მტკიცე ნაციონალური ხასიათი აქვსო, სთქვა იმან. რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებასაო, მე არ მინდოდა მეთქვა,—ეს დამოკიდებულება სახიფათო იყოსო; მაგრამ საეჭვო აღარ არის, რომ საქმე ფრიად მძიმე და საყურადღებო საგანს შეეხებაო. გუშინ რუსეთის ელჩი დიდხანს თათბირობდა გლადსტონთან.

**პარიჟი.** სახემწიფო სამუშაოთა და სამხედრო მინისტრებმა გამოაცხადეს გუშინ პალატაში: თუ ომი მოხდა, ჩვენს რკინის გზებს ადვილად შეუძლიანთ მობილიზაციას დაეხმარონო. რკინის-გზების საზიდ-სატარებელი მზად არის და სტრატეგიულის რკინს-გზების ქსელი თითქმის გათავებულიაო.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც ტფილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. სახებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამონაყარ[illegible] კების წამლობისათვის; [illegible] გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლქინი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— | —1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 გ. | $2^1/_2$ |
| ჭვარის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— | —1 გ. | 3 კ. |

## განცხადებანი


ქაღა მოკლე

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592). (46—3)


რებდა და ყოველთვის იმის დანახვაზედ თავის მოსიყვარულე დედა უნდა მოეგონებინა.

ერთ ღამეს, როდესაც შაკ პორტეილი რამდენიმე საათის განმავლობაში სრულიად მოგონებას მიეცა, შორიდამ თვალი მოჰკრა ამ პატარა სამწერლო სტოლის საიდუმლო უჯრას და მაშინვე გამოსწია. იქ ერთი პატარა ყდიანი რვეული იპოვა, რომლის ქაღალდი დიდი ხნის გამო სრულიად ჩაყვითლებულიყო; გადამალა თუ არა პირველი გვერდი, მაშინვე იცნო თავის დედის ხელი.

რვეულის პირველ გვერდის წაკითხვაზედ, რომელიც იყო საიდუმლო შესავალი რაღაც საზარელი მოთხრობისა, შაკი საშინლად შეკრთა. დაასრულა თუ არა ზედ წარწერილის წაკითხვა, ცოტა ხანს შედგა, ფერ-მიხდილი ეკითხებოდა თავის თავს,—განაგრძოს კითხვა თუ არა, რადგან წინადვე გრძნობდა რომ საშინელს რასმე ამბავს შეიტყობდა. მაგრამ იგი დიდ ხანს არ ჰყოყმანობდა და სთქვა:

—უნდა, წავიკითხო; რაც მოხდება, მაინც უნდა შევიტყო!

ეს არ იყო დაწერილი ლიტერატურაში დახელოვნებულის ქალის ხელით, რომელიც თავის დღიურში ჩასწერს ხოლმე თავის ფიქრებს შთამომავლობის გარდასაცემად. პორტეილის ცოლი მხოლოდ ორიოდ მწრაფლად ჩაწერილი სიტყვებით მოგვითხრობდა იმ შემთხვევას, რაც გადახდენოდა იმას ცხოვრებაში. ჯერ, როგორც ეტყობოდა, იშვიათად მიმართავდა თავის რვეულს. ნათქვამია, ბედნიერს ხალხს თავს არა გადახდებათ-რაო, მაგრამ არც იმათ ასცდებათ ხოლმე; თან-დათან დღიურში თვის რიცხვები ერთმანეთს უახლოვდებოდენ, ცოტ-ცოტათი უსიამოვნობა გამოიხატებოდა და მერე იანვრის 18-დამ იწყებოდა ის საზარელი ამბავი, რომელიც თავდება უბედური ქალის სიკვდილით.

«არ ვიცი ჩემს თავს რა ამბავია, სწერდა იგი; ძნელი ასახსნელია, რასაც მე ვგრძნობ. ჩემს ცხოვრებაში ცვლილება არა მომხდარა-რა, მაგრამ თითქო ყოველისფერი კი შეიცვალა. ვერ შემიტყვია—ჩემშია მიზეზი ამ უსიამოვნობისა, თუ ჩემს გარშემო?

თებერვლის 10-ს.

ეხლა კი მივხვდი, რომ ჩემი მოუსვენრობის მიზეზი ჩემი ქმარია. თუმცა ჩემდამი სულაც არ გამოცვლილა, ადრინდელივით ცოტა გულ-გრილია, ცივად მეკიდება, მაგრამ ისევ იმ საკვირველი თანაბარი ხასიათისა კია, რომლითაც ყველას თანაგრძნობა შეიძინა. მაგრამ იგი როგორღაც არეული გამოიყურება და მე ვერა გამიგია-რა, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ვგრძნობ უცნაურს აღელვებას და მწარე ნაღველმა სრულიად შემიპყრო.

თებერვლის 25-ს.

მე ბევრს ვათვალიერებ, მაგრამ ვერა გამირჩევია-რა. ჩვენს შორის ყინულის მთა აიმართა. მე მაინც არ გამოვცვლილვარ, ისევ ისა ვარ.

მარტის 22-ს.

ჩვენი მდგომარეობა არ შეცვლილა, ხან-დის-ხან ჩემს თავს ვეკითხები, ჰკუაზედ ხომ არ შევცდი მეთქი. არა, მე არა მელანდება-რა! წუხელის ჩვენ ბალში ვიყავით, როდესაც მე ვეტანციებოდი პრალეს, იმის გულითადს მეგობარს. შევამჩნიე რომ ჩემი ქმარი უცნაურად თვალს მადევნებს. თუ აქამდის ეჭვი რამე მქონდა გაგულგრილებაზედ,—ეხლა იმის შემოხედვამ ყველაფერი გამიქარწყლა. მისი თვალები იმ დროს გამოხატავდა უსაზღვრო მრისხანებას. იქნება ეჭვი აილო ჩემზედ? ნეტავი აგრე იყოს, მერე რა ადვილი იქნება მაგ ეჭვის თავიდამ აცილება, რადგან არასოდეს მიზეზს არ მივცემ!.. მე ველარ ავიტან, ძალიან ვიტანჯები; უნდა მოველაპარაკო, უეჭველად მოველაპარაკები!

(გაგრძელება შემდეგ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ ა ლ ა ნ ს ი

## თბილისის სათავად-აზნაურო, საადგილ-მამულო ბანკისა, იანვრის 1-სათვის 1885 წლისა.

### აქტივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასაში . . . | 24,672 | 02 | | |
| გირაოს ფურცლები . . . . | 202,300 | ,, | 226,972 | 02 |
| 2) მიმომდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში . . . . . | 271,264 | 36 | | |
| ბ) კერძო ბანკებში . . . . | 1,378 | 66 | | |
| გ) კორესპონდენტებთან. . . . | 84,846 | ,, | 357,489 | 02 |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) საწევრო ფული თბილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში . . | — | — | 60 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში 80,000 . | 72,049 | 55 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 43,400. | 41,984 | 10 | | |
| % იმათი. . . . . . . | 757 | 79 | 114,791 | 44 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $54\frac{1}{2}$ წლით . | 436,200 | ,, | | |
| ბ) მამულის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წ. . | 361,400 | ,, | | |
| გ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ $27\frac{1}{2}$ წ. | 474,700 | ,, | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ 18 წლით და 7 თვით . . . . | 6,000 | ,, | 1,278,300 | ,, |
| 6) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წლით. . | 974,664 | 90 | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27\frac{1}{2}$ წლით . | 2,567,114 | 90 | 3,541,779 | 80 |
| 7) სესხნი, რომელნიც გასაცემად არიან დანიშნულნი: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წლით. . | 189,600 | ,, | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27\frac{1}{2}$ წლით. | 18,400 | ,, | 208,000 | ,, |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა). | | | | |
| ა) დიდ-ვადიან სესხზე. . . . | 180,302 | 67 | | |
| ბ) მცირე-ვადიან სესხზე . . . . | 2,275 | 35 | 182,578 | 02 |
| 9) ვადა-გასული შემოსატანი ფული . | — | – | 10,817 | 51 |
| 10) მცირე-ვადიანნი სესხნი . . . . | — | – | 133,815 | ,, |
| 11) გირაოს ფურცლები, საკომისიოდ მიღებულნი (15,000) . . . . | — | — | 12,000 | ,, |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი - . . | — | — | 14,782 | 61 |
| 13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადახდილნი. | | | | |
| 14) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის . . . | — | — | 4,134 | 12 |
| ბალანსი. | | | 6,085,520 | 11 |

თავმჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

### პასსივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 181,987 | 30 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისათვის . . | 134,869 | 05 | 316,856 | 35 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით . . | 22,378 | 87 | | |
| ბ) ურთი-ერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . | 23,518 | 01 | 45,896 | 88 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის . | — | – | 4,823 | 19 |
| 4) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . | — | – | 14,690 | 31 |
| 5) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით: | | | | |
| $54\frac{1}{2}$ წლით. . . . . | 436,200 | ,, | | |
| $43\frac{1}{2}$ » . . . , . | 361,400 | ,, | | |
| $27\frac{1}{2}$ » . . . . . | 474,700 | ,, | | |
| 18 წ. და 7 თვით. . . . | 6,000 | ,, | 1,278,300 | ,, |
| 6) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთი-ერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით . . . . . | 965,200 | ,, | | |
| $27\frac{1}{2}$ « . , . . . | 2,557,600 | ,, | 3,522,800 | ,, |
| 7) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა ვალდებულის თავნის გადახდისათვის. . . . | — | — | 18,979 | 80 |
| 8) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით. . . . . | 189,600 | ,, | | |
| $27\frac{1}{2}$ » . . . . . | 18,400 | ,, | 208,000 | ,, |
| 9) გირაოს ფურცლები მობარებულნი . | — | — | 1,800 | ,, |
| 10) მოსასპობლად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . | 200,400 | ,, | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . | 726 | 48 | 201,126 | 48 |
| 11) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად. | -- | — | 74,200 | ,, |
| 12) გირაოს ფურცლების გადასახდელი კუპონები. . . . . . | — | — | 157,361 | 50 |
| 13) სარგებლის ფონდი . . . . | — | — | 144,033 | 74 |
| 14) თავნის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| $54\frac{1}{2}$ წლით. . . . . | 660 | 02 | | |
| $43\frac{1}{2}$ " . . . . | 1,398 | 27 | | |
| $27\frac{1}{2}$ " . . . . | 6,782 | 62 | | |
| 18 წ. და 7 თვით. . . . | 266 | 27 | 9,107 | 18 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით. . . . . | 2,805 | 30 | | |
| $27\frac{1}{2}$ " . . . . | 24,210 | ,, | 27,015 | 30 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი არა-სა ვალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც ურთიერთ შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი. . . . . . | — | — | 185 | 74 |
| 17) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით . . , . | 20,004 | 86 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით . . . | 100 | ,, | 20,104 | 86 |
| 18) კორესპონდენტები . . . . | — | — | 744 | 68 |
| 19) მსესხებელნი . . . . . | — | — | 39,494 | 10 |
| 20) ნაღდი მოგება იყო . 102,524 — 11 გადმოტანილ იქმნა საზოგადო საჭიროებისა და საყოველ-შემთხვევო თანხიდამ . . . 4,432 — 63 | 106,956 | 74 | | |
| მთელი ეს ჯამი გადადებულია ბანკზე დარჩენილ მამულების გადასახადისათვის: სესხისა, ვადიან გარდასახადისა, განცხადებისა, ზღვევისა, სადგურის გარდასახადისა და ჯარიმისათვის . . . . . | 106,956 | 74 | — | ,, |
| ბალანსი. | | | 6,085,520 | 11 |

მმართველობის წევ-რნი { თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. / თ. ი. გ. მახაბელი.

ბუხჰალტერი ქ. სახატურიანი.

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Февраля 1885 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.